საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 5342/1
15/03/2024

5342-1-2-202403151146

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ *(შემდგომში - კომპანია)* განიხილა თქვენი №6/11316 წერილი თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც ეხება ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების: 677.00 კვ.მ (საკადასტრო კოდი 04.01.03.663), 1,319.00 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 04.01.03.816) და 983.00 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 04.01.03.817) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

მოგახსენებთ, რომ ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 04.01.03.663 *და* 04.01.03.816) არ არის განთავსებული კომპანიის კუთვნილი წყალმომარაგების/წყალარინების სისტემები, ასევე კომპანიის მიერ ამ ეტაპისათვის არ არის დაგეგმილი მათზე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. შესაბამისად, მითითებული ქონების პრივატიზება არ აფერხებს კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

რაც შეეხება 983 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 04.01.03.817), მის მიმდებარედ განთავსებულია დ=500 მმ-იანი წყალმომარაგების ქსელი (იხ. დანართი: სიტუაციური ნახაზი).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანია თანახმაა 983 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 04.01.03.817) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მომავალი მესაკუთრე, კომპანიის კუთვნილი კომუნიკაციების ექსპლუატაციის ვადით, სრულად დაიცავს შემდეგ შეზღუდვებსა და პირობებს:

1. სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებული, წყალმომარაგების მოქმედი დ=500 მმ-იანი მილსადენის გამართული/შეუფერხებელი ექსპლუატაციისთვის საჭირო არეალში *(მილსადენის კედლებიდან ორივე მხარეს 5-5 მეტრი დაშორება)* მომავალი მესაკუთრე არ მოახდენს რაიმე სახის მშენებლობას ან მოქმედებას, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას წყალმომარაგების მილსადენის გამართულ ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებას;

2. ქსელის/მილსადენების დაზიანების შემთხვევაში, კომპანიის მიერ ქსელის/მილების სარგებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო საავარიო - აღდგენითი სამუშაოების



საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

ჩატარებისას, მომავალმა მესაკუთრემ ხელი არ შეუშალოს ქსელის/მილების მესაკუთრეს დაზიანების აღმოსაფხვრელ ღონისძიებებს, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში წყალმომარაგების ქსელის/მილის შეცვლისთვის საჭირო ღონისძიებებს. ქსელის/მილსადენების დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, ხელი არ შეუშალოს ავარიის ადგილზე საავარიო ბრიგადების, მანქანა-მექანიზმების შეუფერხებელ-ოპერატიულ შესვლას და ხელი შეუწყოს საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად შესაბამისი პირობების შექმნას;

3. სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებული დ=500 მმ-იანი ქსელის/მილსადენების დაზიანების ან/და დემონტაჟის აუცილობლების შემთხვევაში, სავალდებულო საავარიო - აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისას, კომპანიას არ დაეკისრება რაიმე სახის მატერიალური ან/და ფინანსური პასუხისმგებლობა *(მათ შორის აღდგენის ვალდებულება),* ამავე ქსელის/მილის ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალში განთავსებული ინფრასტრუქტურის *(ღობე, ეზოს მოპირკეთების ფილები, დეკორატიული შადრევანი, ქანდაკება, აუზი, გამწვანება და სხვ.)* დაზიანების შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №6/11316 წერილში აღნიშნულ მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, ამავე წერილში მითითებული პირობების დაცვით, არ აფერხებს კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

**დანართი: 1 ფურცელი, 1 ციფრული ვერსია.**

პატივისცემით,

სალომე ვაშაკიძე

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში